


ღვთაებრივი კომედია

დანტე ალიგიერი

2013-09-25



დანტე ალიგიერი

50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ
წიგნი 31

„50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხადი ხარ“ - ეს პროექტი მსოფლიოს არაერთ ქვეყანაშია პოპულარული. სხვადასხვა გამოკითხვის საშუალებით, მკითხველი ირჩევს 50 საუკეთესო წიგნს მსოფლიო ღიტიერატურის საგანძურად. საქართველოში „კვირის პალიტრის“ ამ პროექტს მრავალი ათასი ადამიანი გამოეხმაურა. სწორედ მათი დადგენილია იმ რჩეული წიგნების ნუსხა, რომელიც „პალიტრამედიაში“ რეალურ ბიბლიოთეკად აქცია.

ეს წიგნი მსოფლიო ღიტიერატურის ამ უნიკალური ბიბლიოთეკის ნაწილია.

შემდგენელი - მანანა არჩვაძე-გამსახურდია

რედაქტორი - ედენე საღაროძე

კორექტორები: ნანა ანტონოვა-ივურიძე, დიკა თავართქილაძე, ნატალია ჩიმაკაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა - გიორგი ასათიანი

ყლის დიზაინი - ეთერ გზირიშვილი

პროექტის მენეჯერი - თინათინ ასათიანი

© გამომცემლობა პალიტრა L, 2012

ყველა საავტორო უფლება დაცულია.

კონსტანტინე გამსახურდიას თარგმანი

ჭოჭოხეთი

ქება პირველი

უსიერ ტევრში, ამ ცხოვრების ნახევარგზაზე^[1]

ანაზღუდად გამოვფხიზლდი გზადაკარგული.

ენა ვერ იტყვის, თუ რამდენად იყო ტყე იგი

4. უკაცრიელი, უდაბური და გაუვადი.

თვით მოგონებაც წამიერი ერთხელ ხილულის

საშინელია ამჟამადაც და შემზარავი.

7. ეს მოგონება თვით სიკვდილზე უმწარესია,
მაგრამ მე მინდა ჯერ მოგიტხოთ სულ სხვა საგნებზე,
იმათ ხილვათა მისაწვდომად, განსაცხადებლად.

10. ველარ გიამბობთ, ვით დავკარგე მე გზა მართალი,
თურმე ჩემს თვადებს მორეოდა ეგზომად რული.

ჯერაც ჭადაკი საშინელი არ გამეარა,

13. ბექობი რამე მეყსეულად შემომეხეჩა,
ზე ავიხედე, დავინახე: ცთომილის სხივებს
ზეთავი მთისა შეემოსათ უცხო არილით.

16. აჰა, დაოკდნენ გულის ჩემის ტბისა ზვირთები,
წარსული ღამის სიმძიმის გამომინეღდა,
და ვით მენავე ზღვაურისგან გამორყეული,

19. თვადს რომ შეავდებს ამბოხებულ ზღვის მღვივარებას,
ასევე ჩემი მწუხარებით ვნებული გული
უკუ მოიქცა და გასცქერის მიჯნას გადავიდის,
22. რომლის ბაღადი კაცს ხორციელს არ გადუღახავს.
ოღნავი შვეება მოვუპოვე ჩემს ნაგვემ სხეულს,
ამოვისუნთქე, მოვიკრიფე ისევე ღონე.
25. მივყვე უდაბნოს მცირე ბილიკს ზემოდ მიმავალს,
და როცა კარლას გორმახისას შევადგი ფეხი,
შემომეფეთა მე უეცრად ფეხმარდი ბაბრი^[2],
28. ფორეჯებიან, ჭრედი ბენვით გარემოსიდი,
შემომცქეროდა, მომწუსხვედი, ჯიქური მზერით,
მითვალთვადებდა, არც დამოხდა აქცევას გზისას.
31. ისე ბეჭითად გადამიჭრა გზა გასავლელი,
შევსდექ მრავადგზის, შევყოყმანდი და განვიზრახე:
შემობრუნება, გზის დათმობა და უკუქცევა.
34. ეს იყო ჟამი მიწურული გარიჟრაჟისა,
როს მზე ისწრაფვის კაბადონზე ამოსასვლელად
მკრთად ვარსკვლავების ასაბიით გარემოცული,
37. როს სიყვარული ღვთაებრივი ანიჭებს ძაღას
და ამოძრავებს ამ მშვენიერ ციურ ცთომილებს,
სხივთა ირალ გაივრცებს ღურჯ ცადაქნილზე.
40. უცხოლ ნაქარგი ბაბრის ტყავი და განთიადი
ჩემს სულს დაქანცულს ესაღებუნა, შემესხა ფრთენი
და აღორძინდა კვდავ იმედის ნიჭი ჩემს გულში,
43. ანაზღუდად შემომენთო შიშისა ზარი:
გამომცხადა დაღრენიდი, მძვინვარე ღომი^[3];
თავანუდი იგი ჩემსკენ მოისწრაფოდა.
46. მოძუნძულებდა დამშეული, პირქუში მხეცი,
ტორების ჩქამზე ცახცახებდა თავათ ჰაერიც.
შემდეგ ვიხიდე მომავალი ჩემსკენ ძუ მგელი^[4].
49. გამხდარი იყო, ეტყობოდა ვნება ყოველი
ხორცისმიერი, ბიწიერი მას დაკისროდა.
თვალთაგან მისთა მონაბერმან საშინელებამ
52. მწვერვალზე ასვლის იმედები გამინიავა.
როგორც მავანი კაცი ბედით გაღალღებული,
გახარებული ხედმარჯვობით, განძის მოხვეჭით,
55. ერთ უხიავ ღღეს გაკოტრდება და დამწუხრდება.
მეც ისე შევკრთი ამ ტყიერის შემოხვდომისას,
და მივაშურე იმ მიდამოს, სადაც დიდის მზე
58. სხივდაფანჩული ბნელ ორწოხებს შეხიზნებოდა.

შევვერ ტაფობში, შემეყარა აქ კაცი ვინმე,
რომლის ძახილი მომესმოდა ჟამგამოშვებით.

61. გავეხმაურე ამ მარტომყოფს ვრცელ უდაბნოში,
ვუყვივდე, ვარქვი: „შემიბრადე, მოილე სიტყვა,
„ვინაც არ იყვე, გინა კაცი და გინა დანდი“.

64. შემომესიტყვა: „არ ვარ კაცი, ოდესღაც ვიყავ,
„მშობელი ჩემი დომბარდიის^[5] ყოფიდან მკვიდრი,
„იქ, მანტუაში დარწეულა მათი აკვანი.

67. „მე დავიბადე იუდიუს კეისრის ჟამსა,
„რომში ვცხოვრობდი, როს ავგუსტუს მეფობდა ქვედი
„და მატყუარა, ცრუ ღმერთები დათარეშობდნენ.

70. „პოეტი ვიყავ და ანქიზეს ვაჟს ვუმღეროდი
„მძღე ილიონის დანვის შემდეგ რომში ჩამოსულს.
„მაგრამ შენ საით მიისწრაფვი უკუქცეული,

73. „ამ სევდის ბაღნარს ფერდამკრთადმა რად მოაშურე?
„რად აღარა გსურს იმ განცხრომის მთაზე ახვიდე,
„რომელიც თავათ სიხარულის სათავე არისჯ‘

76. „შენ ვირგილიუს^[6] უნდა იყვე, - ვარქვი დარცხვენით, -
„დაუშრეტელი დასაბამი ენამგეობის.
„სხვა პოეტების ნათღის სვეტო და სიამაყევ,

79. „მეც შენ აღმიძარ ო, მგოსანო, ნდომა სწავდისა,
„მეც სიყვარულით მიძებნია შენი წიგნები,
„შენის წყალობით მეც სახელი მომიხვეჭნია.

82. „ამ მწითურ ნადირს ხომ უყურებ, ოსტატო ჩემო,
„ბრძენო მისანო. მომეშვედე და დამიფარე,
„ხედავ, შიშისგან მიცახცახებს სხეული სრულიჯ‘

85. „სხვა გზას მიჰყევი, - მიჰასუხა მაშინ მგოსანმა,
რა დამინახა მღუღარება ჩამომდიოდა, -
„მხოლოდ ამრიგად თავს დააღწევ საშიშროებას.

88. „ვინადგან მხეცი, რომლის შიშით ესდენ ცახცახებ,
„არ გაატარებს ამ შარაზე არვის ხორციელს.
„თუ გაუძადდი, არ აგცდება მისგან სიკვდილი.

91. „იგი ბუნებით ბოროტია და ბიწიერი,
„გაუმადლობით, ღორმუცეობით სახედგანთქმული,
„თუნდაც რომ სჭამოს დღე და ღამე დაუცხრომელად:

94. „მით უფრო მეტად უმძაფრდება შიმშილის გრძნობა.
„მრავად ცხოვედთან მოუხდება მას შეუღლება,
„მაგრამ ვიდრემდის მოვიდოდეს ერთხედ მწევარი,

97. „არ მიეცემა დასასრული მის გამარჯვებას.
„არც კვებავს მიწა, არცა ოქრო თურმე იმ მწევარს!